ხელშეკრულება №03.05/35
გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

დ/მახინჯაური

23-აპრილი 2019 წ

ერთის მხრივ, სსიპ - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის დაბა მახინჯაურის საჯარო სკოლა (შემდგომში - შემსყიდველი) წარმოდგენილი მისი დირექტორის მ/შ ცირა ქობულაძის სახით და მეორეს მხრივ, შპს „ლუკა 20111" ს/კ445389918 (შემდგომში - მიმწოდებელი) წარმოდგენილი მისი დირექტორის მამუკასვილის სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]" ქვეპუნქტის შესაბამისად ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას.

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საგანია საკანცელარიო საქონლის (CPV: 30100000; 37520000; 44922100) შესყიდვა ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურების სანაცვლოდ.

1.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული საგნის დეტალური აღწერა მოცემულია დანართ №1-ში, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

მუხლი 2. ხელშეკრულების საგნის ღირებულება

2.1. ხელშეკრულების საგნის საერთო ღირებულება შეადგენს **188,00** (ასოთხმოცდარვა ლარი 00 თეთრი) ლარს.

2.2. ხელშეკრულების საგნის საერთო ღირებულება მოიცავს საქონლის შესყიდვასა და მიწოდებასთან დაკავშირებულ ანაზღაურებას საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა სახის გადასახადისა და მოსაკრებლის ჩათვლით.

მუხლი 3. მიღება-ჩაბარება და ანგარიშსწორება

3.1. საქონლის მიღება დასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტით ან/და ანგარიშფაქტურით.

3.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

3.4. ანგარიშსწორება განხორციელდება საქონლის მიღება-ჩაბარების აქტის ან/და ანგარიშფაქტურის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

მუხლი 4. საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა

4.1. მიმწოდებელი საქონლის მიწოდებას უზრუნველყოფს ხელშეკრულების დადებიდან 10 (ათი) დღის ვადაში შემსყიდველის მისამართზე დ/მახინჯაურში).

მუხლი 5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1.მხარეები პასუხს აგებენ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის საქართველოს მოქმედი კანონის შესაბამისად.

5.2. ხელშეკრულების თითოეულ მხარეს უფლება აქვს მოსთხოვოს მეორე მხარეს წინამდებარე ხელშეკრულებიდან და მოქმედი კანონმდებლობიდან გამომდინარე მოვალეობათა კეთილსინდისიერი შესრულება.

5.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

5.4. შემსყიდველი უფლებამოსილია მოსთხოვოს მიმწოდებელს საქონლის მიწოდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

5.5. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას შეასრულოს ხელშეკრულებით დაკისრებული ვალდებულებები;

ბ) ხელშეკრულებით განსაზღვრული საგნის ნაკლის/ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში უზრუნველყოს მისი შეცვლა ან ნაკლის გამოსწორება შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი ხარჯის გაწევის გარეშე;

მუხლი 6. პირგასამტეხლო

6.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.1%-ის ოდენობით.

6.2. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ნაწილის 0.02%-ის ოდენობით.

მუხლი 7. ფორსმაჟორი

7.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია ფორსმაჟორით.

7.2. თუ ერთ-ერთი მხარე ფორსმაჟორის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს 3 კალენდარული დღისა, აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

7.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება ფორსმაჟორის მოქმედების დასრულებისთანავე.

მუხლი 8. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

8.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

8.3. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს:

ა) მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე;

ბ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

მუხლი 9. დავები, მათი გადაწყვეტის წესი

9.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმებით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9.2. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და მისი დებულებები განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

მუხლი 10. შეტყობინება

10.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნებისმიერი შეტყობინება უნდა გაიგზავნოს წერილის სახით ან ფაქსის/ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით.
10.2. შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს.

მუხლი 11. გადასახადები და დაბეგვრა

11.1 მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახადების გადახდაზე.

მუხლი 12. ხელშეკრულების ენა

12.1 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად. ერთი ეგზემპლარი ინახება მიმწოდებელთან, ერთი - შემსყიდველთან.

მუხლი 13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

მუხლი 14. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

შემსყიდველი:	მიმწოდებელი:
სსიპ - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის დაბა მახინჯაურის საჯარო სკოლა ს/კ :248386633 მის: დ/ მახინჯაური, აღმაშენებლის ქN1 ტელ: 577304 209 საბანკო რეკვიზიტები: ს/ს „ლიბერთი ბანკი" ბანკის კოდი :LBRTGE22 ა/ა GE57LB0121174333662000 ელ.ფოსტა:maxijauris. skola@gmail.com დირექტორის: მ/შ ციცა ქობულავა _____	შპს-„ ლუკა 20111" ს/კ: 405237765 მის.:ქ.ბათუმი , მელიქიშვილის ქ.N 8ა ტელ.: 599 93 86 83 საბანკო რეკვიზიტები: ს/ს „ საქართველოს ბანკი " ბანკის კოდი :BAGAGE22 ა/ა GE30BG 0000 0002 8088 2200 ელ.ფოსტა:makvalam@mail.ru დირექტორი: ოთარ ჭეიშვილი _____ (ხელმოწერა) მ.ა

დანართი I ხელშეკრულების საგნის აღწერა

I. შესყიდვის ობიექტია:

№	საჭირო დასახელება	ზ/ერთ.	რაოდენობა	ერთ.ფასი (ლარი)	საერთ.ფასი (ლარი)	CPV
1	რვეული	ცალი	7	0.30	2.10	30100000
2	რვეული	ცალი	7	0.80	5.60	30100000
3	ფანქარი	ცალი	5	4.00	20.00	30100000
4	ფლორმასტერი	ცალი	5	1.00	5.00	30100000
5	ფერადი ფურცელი	ცალი	5	0.80	4.00	30100000
6	დიდაქტიკა	ცალი	7	2.00	14.00	37520000
7	მახა პლასტელინი	ცალი	7	3.50	24.50	37520000
8	გუაში	ცალი	5	3.50	17.50	44922100
9	სამაგიდო თამაში	ცალი	1	3.00	3.00	37520000
10	საგზაო მოძრაობის წესები	ცალი	1	3.00	3.00	37520000
11	ასოციაცია	ცალი	1	3.50	3.50	37520000
12	ფანქარი	ცალი	10	0.15	1.50	30100000
13	კალათა ბოსტნეული	ცალი	1	10.00	10.00	37520000
14	კალათა ბოსტნეული	ცალი	1	5.00	5.00	37520000
15	ბუტაფორია ხილი-ბოსტნეული	ცალი	1	4.00	4.00	37520000
16	პაზლი	ცალი	1	6.00	6.00	37520000
17	სათამაშო მანქანა	ცალი	1	7.50	7.50	37520000
18	ბოულინგი	ცალი	1	14.00	14.00	37520000
19	თვალსაჩინოება	ცალი	1	1.00	1.00	37520000
20	სურათი ნომრებით	ცალი	1	7.00	7.00	37520000
21	სასროლი რგოლები	ცალი	1	8.00	8.00	37520000
22	ასოციაცია	ცალი	2	3.50	7.00	37520000
23	ცარცი	ცალი	3	0.60	1.80	44922100
24	ხელით ხატვა	ცალი	2	5.00	10.00	37520000
25	ფუნჯი	ცალი	3	1.00	3.00	30100000
	ჯამი				188.00	

ასოთხმოცდარვა ლარი და 00 თეთრი

სსიპ-ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის დაწყებითი საჯარო სკოლის დირექტორის მ.შ. /ცქობულაძე/

შპს „ლუკა 2011"-ს დირექტორი: /ო.ჭეიშვილი/